

572/
883/2

ISSN 0132-5965



14- 6 036060 1983 Ե.

ՀԱՅԿ

ი. ვ. ანდროპოვის

შენს შტატს ქველ მანქანებში მტოვრებენ აშტაკელთა მოწყველენ სამხტა სიტტა • ვ. ანდროპოვს გამოვლენენ წერილი, რომელში წერს, რომ 18 წლისა და ძალიან მწუხრს, ხომ არ მოხდება ბაროვლი იმა შევრობულ შტატებსა და ხაზებით კავრის შორის. „იმა მონხტ ხართ თუ არა? თუ იმა წინააღმდეგ ხართ, მონხტია, თუ შეიძლება, რის ვაკეთებან ახირებ, რომ არ დოუშაო იმა?“

• ვ. ანდროპოვს ამ წერილზე გავლენა მის პასუხს, რომელშიც ნათქვამია:

მივიღე შენი წერილი, ისევე როგორც ბევრი სხვა, რომლებიც ამ დღეებში მიმდის შენი ქვეყნიდან, ისევე როგორც სხვა ქვეყნებიდან.

ეფობრობ, — ქვეყნიდან ვმჯავრობ, — რომ შენ ღულია და მკლიანია გოგონა ხარ, გაფარ ბეჭის, შენი თანამემამულეს მძეკ ტავრის, ვანიმქული წიწის გვირის ტომ სოფრის შვაობას. ამ წიწის იცონებ და ძალიან ევაბათ ჩვენი ქვეყანაში ყველა გოგონას და ბიჭებს.

შენ მწერ, რომ ძალიან გმწუხრს, ხომ არ მოხდება ბიროველი იმა ჩვენი ორ ქვეყანას შორის, და მეოხებები, რა დონეს ხმარობთ იმა რომ არ დოუშაოთ.

შენი თიბვა ყველაზე მთავარია

იმ საიტებშიდან, რომლებიც ყოველ ადამიანს ადღევენ. სერიოზულად და გულახდილად გიპასუხებ.

დაბ, სამხტა, ჩვენ საბჭოთა კავშირში ველით იმ და ყოველ დონეს გმარობით, რათა არ აბუდეს იმა ჩვენი ქვეყნებს შორის, რათა ქვეყნად საერთოდ არ იყოს იმა. ეს ყოველ საბჭოთა ადამიანს სურს. ამის ვაკისწავლია ჩვენი სახელმწიფოს დიდი ფრტემდეგული ვლინებები.

საბჭოთა ადამიანებს კარვად იყვან, რაოდენ საბარტლი და დამარჯველია იმა. 42 წლის წინათ ნაოსტრტრია გვარბათა, რომელიც მიუღე მსოფლიოზე ბატონობას ლამობდა, თავს დებდა ჩვენი ქვეყანას, გიღმწვა და დარბობა მხარ

განსუხი ავარიკველი მოსწავლის წერილზე

ყოველ ადამიანს ჩვენი ქალკე და სოფლები, დხოცო მლირობითი საბჭოთა მამკვეთი, ქალი და ბავშვი. თუ იმა, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, ჩვენ და შევრობულ შტატები მოვკვრობები ვოვქო. ერასდ ვიბარობით ნაოსტრტრია დამკარბობლებსაგან ბეჭის ხელის განთავითულებსათვის იმდენი მკვეს, რომ შენ ეს იცო სკოლის ისტორიის ვაკვეთილებთან და დღეს ჩვენ ძალიან გვირდი მწოდობისად ვიციკობით, ვივაჭობით და ვიბანამწირობით ყველა მგზობელთან დღემწიწვა. — შიროვლ და ახლობელ მგზობლებთან. და რა დღეს უღე, ისე დიდ ქვეყანასთან, რომელიცაა აშტაკელი შევრობულ შტატები.

მწიერკაცე და ჩვენც გვაქვს ბიროველი იბარლი — საბინელი იბარლი რომელიც შეუძლია ერთ წაწი მლირობითი ადამიანი დხოცოს. მგვამ ჩვენ არ ვესურს, რომ იგი რომელიც გამოიყენონ, სწორედ ამიტომ საბჭოთა კვეზამა საერთოდ, სმკვეთლდ განცხადებ, რომ არასოდეს, არასოდეს — არ გამოიყენებს ბიროველი იბარლს არც ერთი ქვეყნის წინააღმდეგ და

საერთოდ, ჩვენ წინააღმდეგ წამოვავიწეო შეუძენს შისი შემდღობი წარმოება და დამწიწის ქვეყნად მთელი მისი შარტის მისობია.

გვრობებს, ეს სკამბიროს პასუხია შენს მწორებ თიბვას: „არტომ ვინდა მივიღე შენგოლოს არ, ყოველ შემბტვევაში, შევრობულ შტატებს მის დამკარბობა? არადგერი ამბავია ჩი ჩვენ არ ვესურს, არავის ჩვენი უზარბაზრ ქვეყანაში — არც მწუხრებსა და გლუბებს, არც მწერლებს

და ეტომებს, არც უფროსებს და არც მავშვებს, არც მიაგრობის წერიტებს არ სურთ არც დიდი, არც „მსოფლიო“ იმა.

ჩვენ მწოდობა ვესურს — განსაკუთრებულ ბეჭის რამ, ვაკვეთს მოგავიდეს ბეჭის, ვამწიწობ და გამობრობითა, კვერთო წიწებები და ვოფრანობა კოსმოსში ჩვენ მწოდობას ვესურს ჩვენიდან და მკანეტლს ყველა ხალხისათვის, ჩვენი შეუღობისათვის და შენთვის, სამხტა“.

• ვ. ანდროპოვს მოიწვია აშტაკელი მოსწავლე სამხტა სიტტა პიონრია ხარა „არტემეზ“ დასახლებულია:

• ვ. ანდროპოვს წერილი სამხტა სიტტა ვაკვეთენ საბჭოთა კავშირსა ვანხტატრის ხელგონს მწუხრობით.

„ამ წერილზე სახებო შევლო ჩემი წინააღმდეგ საბჭოთა კავშირზე, — ვამწუხრებ და დამამწუხრებელ წერილთა წინათ — ეს ძალიან ვდღობობ და დამამწუხრებელ წერილთა წინათ არტებს თითქმის სხვა პიონრის მტოვრებულდ მტავრებულდნ. ახლა მავხელ, რომ იმანი ახეოვად ადამიანებს არან, რიგობი ჩვენ, ახლა მავხელ, რომ იმანი ახეოვად არტუტებებს სახებოს დამამწუხრებელდ ვართ“, წერილმა და აჩუქებებებს სახებოს სარ კავშირებს, ადინშა სამხტად. მას ძალიან სურს ჩამოვიდეს სარ კავშირში, სხადე საბჭოთა ხელმწიფებელს, მოაწვია: „საბოლოოდ, შენგოლოდ, პარადიში და გულახდილ“ უწიდა • ვ. ანდროპოვს ვიბარობდ, პარადიში და გულახდილ“ უწიდა • ვ. ანდროპოვს წერილს სამხტას მამს, მენს შტატის ახტატის უნჯებობიტების ნასწავლებელმა ჩემი შვილი ხელმწიფი იგი, რიცეს ეს წერილი მირილი, თვა მამ.

ნეზავ გართლას

ენო ბაზარაშვილი

პელო ბებია მეზობელ სოფელში შვილ-თან გადავიდა ოთხი-ხუთი დღით, თავისი ეზო-ყურე კი მე ჩამაბარა: შემოგველოს ჩემი თავი, თვალი გქონდეს, ბაღლებმა არ აიკლონ აქაურობა, და თუ მოიცალო, ქათმებ-საც მიხედო.

მეც სკოლიდან მოვიდოდი თუ არა, მაშინვე პელო ბებიას ეზოსკენ გაწვევდი. ქათმებს წყალს დავუდებდი, საკენეს მივუყრიდი და ახლა ბაღში გვერდიგვერდ მდგარ ორ ადრეულ ბაღს შევათვალეირებდი.

პირველ დღეს არაფერი, მეორე დღესაც უმსნელად იდგნენ ბლები. მესამე დღეს კი, ლამის გულს შემომეყარა, ერთ ბაღზე დაბლითა ტოტები მთლად ჩამოეკრიფა ვიღაცას.

მეწყინა, ძალიან მეწყინა. რაღა ახლა მოუნდა ქურდაცაცას ბალი, როცა მე მაქვს ჩაბარებული-მეთქი.

სალამო ხანზე ისევ შევედი ბაღში. ახლა მეორე ბაღზეც ასულიყო ქურდი, ტოტები დაემტვრია და ძირს ჩამოეყარა, წაღება კი ველარ მოესწრო, ეტყობა ჩემი ფეხის ხმა გაიგონა და გაიქცა.

„უნდა გავიგო, ვინ იპარავს ბაღს, ვინ არის ქურდი!“ — ეთქვი გულში და გადავწყვიტე მეზობლის ეზოდან მეთვალთვალა.

მეორე დღეს, სკოლიდან რომ მოვედი, პელო ბებიას ეზოში აღარ შევსულვარ, პირდაპირ მეზობლის ეზოსკენ გავეშურე და თხილის ბუჩქს ამოვეფარე. იქიდან მავთულის ბადის ლობეში კარგად მოჩანდა ბლები.

მოხერხებულად ვიდექი, ქურდი ვერ შემამჩნევდა, მე კი იქიდან მშვენივრად დავინახავდი, ვინ იქნებოდა.

ვდგევარ, ვუსვდი. ჯერ ჩამიჩუმიც არ არის. მხოლოდ ფოთლები ირხვივან და ჩიტები გადახტიან ტოტიდან ტოტზე.

უცბად ბრაგუნე გაისმა. მაშინვე მიგხვდი, რომ ბლიდან ჩამოხტა ვიღაცა. ნიავემა თხილის ფოთლები აქეთ-იქით გადასწია და რას ვხედავ! პატარა ბიჭი აჩქარებით ჰკრეფს ძირს ჩამოყრილ კუნწულებს, ჯიბე-უბეში ინყობს. თან სჭამს და კურკებს შებერვით ისვრის პირიდან.



ფრთხილი ნაბიჯით მოვცილდი თხილის ბუჩქს და მავთულის ბადესთან მივედი. ბიჭი ისევ ჰკრეფს ბაღს, მე ვერა მხედავს. მაგრამ უცბად ჩემსკენ შემოტრიალდა და სახეში შემომაფეთა თვალები. მიყურებს, მეც ვუყურებ. ორივე დაბნეული ვართ, ვერც ის შორდება ადგილს, ვერც მე. წელანვე ვიცანი, ზაზა იყო — პელო ბებიას მეზობელი, მაგრამ მაინც ვუყურებ, შიგ თვალებში ვუყურებ.

მერე რა ჭკვიანი თვალები აქვს, ვერავინ ვერ დაიჯერებს, თუ ის ქურდობას ჩაიდენს. ვეღარ მოვეთმინე და წყენით ვუთხარი:



17-468

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

— არა გრცხვენია, ბიჭო, ამოდენა ბალი სულ შენ უნდა გაჰკინო, იქნებ პატრონსაც უნდა.

თითქოს ახლა გამოერკვაო, მოსწყდა ადგილს, მერცხალივით გაფრინდა, რკინის მალალ მარგილს თავზე მოექცა და იქიდან საურმე გზაზე გადახტა. მე კი ვდგევარ, იქით ვიყურები, საითაც ბიჭი გაიქცა. გული ლამის ამომგვარდეს, ისე მიცემს. რა ძნელი ყოფილა, ქურდობაზე რომ წაასწრებ ადამიანს, თითქოს გეშინია და იმის მაგივრად შენა გრცხვენია.

მეოთხე თუ მეხუთე დღეს დაბრუნდა ველო ბებია.

— რა ამბავია, შვილო, ხომ მშვიდობაა? — მეკითხება ღმილით.

— მშვიდობაა, პელო ბებო, მაგრამ ბალი მოიპარეს!..

— ნილს რომ პირი ჰქონდეს, შვილო, თავისთავს თვითონ შეჭამდა, რა მოხდა, თუ ხელი შეანოდა ვინმემ! — მშვიდად ამბობს პელო ბებია, მაგრამ ბალთან რომ მივიდა და ძირს დაყრილი ტოტები დაინახა, მაშინ კი განწინმატდა:

— უი ქა, აგრემ არ ვიქნები, ე რამოდენა ტოტები დაუმტკრევიათ! — წამოკრიფა, გულზე მიისვენა და ზემოთ გასწია.

მიდის პელო ბებია აღმართზე და მილაპარაკობს:

— ეჭამათ, რამდენიც უნდოდათ, ქა, ამ ტოტებს რაღას ერჩოდნენ!..

— პელო, ჩვენი ბიჭი აქ არ არის, იმას ნუ დააბრალებენ, გინდაც აქ იყოს, იმისმა სიცოცხლემ, ის სხვისა ხეხილს ხელს არ შეაწყნევს. — დაიწყო ფიცილი მოხუცმა მარიამმა.

— მე არც შენს შვილიშვილს დავადებ ხელს, არც სწავსა, იმას კი ვიტყვი, რო დალესტნიდან არავინ მოვიდოდა ჩემი ბალის მოსაპარად.

— რა ვიცი, ვინ უნდა ყოფილიყო! — გამოეხმაურა პელო ბებოს ახლა სხვა ქალი.

პელო ძალიან გულნატკენია და ყველას ეპასუხება, თან ტოტებს აჩვენებს:

— შარშანაც ჩამომამტკრავს, წელსაც, არც მერმის მიხათრებენ. მაშ როდისღა უნდა დაიზარდონ ეს ნეები, მერე რა ტკბილი ბალი იცის. ესეც რომ არ იყოს, ქა, ის ვინც არი, დღეს შევიდა დაკეტილ ეზოში, ხვალ, ზეგ, და მორჩა, უკვე ჩვევად გადაექცევა სხვის დაკეტილ ეზოებში შეძრომა, მაშ რა იქნება!

მე იქვე ღობესთან ვდგევარ დამნაშავესავით აბუზული, თვალიდან არ მშორდება ზაზას ჭკვიანი თვალეები და რა ვქნა, არ ვუჯერებ პელო ბებიას, გული სხვას მეუბნება: „სულაც არ გადაექცევა ჩვევად ზაზას ასეთი საქციელი. ის ხომ ჯერ პატარაა, მოიზრდება და მიხვდება, უეჭველად მიხვდება, რომ სხვის დაკეტილ ეზოში ძრომელაობა კვი კაცობა არ არის!“

ნეტავ მართლაც ასე იყოს!..

კ. მაკაქის ს.ხ. ს.ს. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი 1

დაბადების დღე

დატრიალდა ებოში
 ცუროდენა თუა,
 ყველამ იცის, დღეს მისი
 დაბადების დღეა.
 გადასძახა მეზობლებს:
 დედას, ნატოს, ცაცას...
 ტადახს ზედენ გუდღაგუდი,
 ამზადებენ ნამცხვარს.
 რომ გააწყვეს სუფრა და
 გარს მოუსხდა ყველა,
 უცაბედად სიცილი
 აუფარდა დედას:
 ამდენი ხნის წვადება
 სულ ტყუილია შეგვჩა.
 ავგვეთ, აბა ამ ტადახს
 მართლა ხომ არ შევკამო?—
 წამოშდილი ბავშვები
 შეაჩერა თეამ:
 — სად მიდიხართ?
 დღეს ჩემი დაბადების დღეა.—
 შინ შეუძღვა მეგობრებს
 თუა ცუგრუმედა
 და ნამდვილი ნამცხვრებით
 უმასპინძდა ყველას.



პატარა ცხენოსანი

დათომ კვიცი მინდორში
 დაიჭირა ქამანდით,
 ზურგზე მკვირიცხლად მოახტა,
 გააქროლა ნავარდით.
 ჭალა-ჭალა აჰყენა
 და თხრილებზეც ახტუნა,
 დაიქანცა კვიცი და
 დაიქანცა დათუნაც.
 მანც ბედნიერია,
 აისრულა წადილი.
 მაგრამ მეზობლის ბიჭმა
 მიამახა ქადილით:
 დაიცადე, სულ მაღ
 ვნახავ მე შენს სეირსა,
 თუ გაგიგო, პატრონი
 არ დაგაყრის ხეირსა.
 დათომ უთხრა: მე კარგად
 ვიცილობ პაპა მიხასა,
 გახედნისთვის იქნება
 მაღლობაც კი მითხნასა.





ზინა ფინაძე

ბიძო და ანო

ვერცხლის წყალი თუ გინახავთ,
ისეთია ბიძო.

სულ დაბტის და სულ იცინის,
თქვენც იცნობდეთ ვინმე.
იმ დღეს ბევერი ითამაშა,
სულ აიკვლა სახლი,
ბოლოს ედვის თბილ კადთაში
ჩაეძინა დალიღს...

ცისფერ სახლში თამაშობდა
ცისფერკაბა ანო.

ანომ სთხოვა: სათამაშო
უნდა მომიტანო.

ბიძომ თხოვნა აუსრულა,
გაახარა ტოლი,
მაგრამ უკვირს, რად გაცისფრდა
ბურთიც, ცხენიც, დლიც.

ანომ ხელი გადაუსვა
თავზე ცისფერ ბიძოს,
ბიძოს გული აუჩქროდა,
არ სურს გაიღვიძოს.
ისე მოსწონს ეს ფერები,
ისე მოსწონს ანო,
უნდა ხელი ჩაჰკიდოს და
სახლში წაიყვანოს.

უკვე დროა გაღვიძების
და ადგომის თანო,
მაგრამ უკვირს გამორკვევა
ბიძოს სიზმრიდანო.

ბოლოს მაინც გაიღვიძა,
ახლა წვეს და ნანახს,
რომ სიზმარში დარჩა მისი
ცისფერკაბა ანო.



მხატვარი გუსო ხიდაშელი

გურამი, თვითმფრინავი და ორი ძია



როდა არ უღალატებდა, მაგრამ როგორც კი სახლის სადარბაზოდან გავიდა, მაშინვე მოუნდა, კიდევ ერთხელ გამოეცადა. გაიხედ-გამოიხედა და მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო — აუარებელი ხალხი მიმოდოდა, მანქანები დაქროდნენ, თან ნაწვიმარზე ატალახებულ-იც იყო ქუჩა, და გურამმააც გადაიფიქრა, მეტროს სადგურისკენ გაეშურა.

ელექტრომატარებელი ახალი ნასული იყო, მეორე კი ჯერ არ ჩანდა და მინისკვეშა ბაქანზე მატარებელს სულ ორიოდე კაცი-და უცდიდა.

ვრცელი და ცარიელი

ძირს დაეშვა და ელექტრომატარებლის სავალ ერთ-ერთ რელსზე კოდალასავით დასკუპდა.

გურამს ელდა ეცა. იქიდან თვითმფრინავს როგორ ამოიტანდა! არა და მალე მატარებელი გამოივლიდა და მის თვითმფრინავს კალიასავით გასრესდა; წყალში ჩაეყრებოდა გურამს ამოდენა შრომა და წვალება — უნდა გამომშვიდობებოდა ოცნებას — შეჯიბრებაში მონაწილეობას ვეღარ მიიღებდა.

იგდა გურამი მატარებლის სავალი არხის თავზე და შეწუხებული დასცქეროდა რელსზე მოკალათე-

მხატვარი თემურ ფხიკიძე

გურამი ნორჩ ტექნიკოსთა შეკრებაზე მიიჩქაროდა, თან თავისი აწყობილი თვითმფრინავი მიჰქონდა. სამი კვირა ეწვალა ის და ბოლოს ჩინებული მოდელი გამოუვიდა: ლამაზი, მსუბუქი, დამჯერი. ხელიდან რომ გაუშვებდა, თვითმფრინავი ჰაერში გასრილ დებოდა, ლამაზი ლივლივით მიფრინავდა და სწორედ იმ წერტილში ჯდებოდა, სადაც გურამი ჩაუთქვამდა. უკვე არაერთხელ ჰქონდა გამოცდილი თავისი ნახელავი გურამს, სჯე-

ბაქანის დანახვისთანავე გურამმა იფიქრა, ამაზე უკეთეს გამოსაცდელ ადგილს სად ვნახავო, და თავისი თვითმფრინავი ლონივრული ბიძგით ხელიდან გაუშვა.

თვითმფრინავმა ჭერზე მიმაგრებულ ლამპიონებს ჩაუქროლა, ერთხანს გურამის მიერ ნაკარნახევი მიმართულებით იქროლა, შემდეგ კი, მოულოდნელად ცალი ფრთა დახარა, მეორე ზევით ასწია, ნელ-ნელა შემობრუნდა და გვერდულად წავიდა, მისამართი სულ შეიცვალა,



ბულ თავის თვითმფრინავს. მალე გრიალი მოისმა, გვირაბის ბნელი ხახა ელექტროშუქმა გაანათა და, აი, მატარებლის ბრტყელი შუბლიც გამოჩნდა. ნელ-ნელა უკლო სიჩქარეს მატარებელმა, მაგრამ მემანქანემ ჩვეულებრივზე ადრე დაამუხრუჭა და სულ წინა ვაგონი გურამის თვითმფრინავიდან ერთ მეტრზე გაჩერდა. წინა ვაგონიდან რკინიგზელისფორმიანი კაცი გამოვიდა და პირდაპირ გურამისკენ გამოემართა, სახეზე ეტყობოდა, რომ მალიან გამწყრალი იყო.

— შენია ეს სათამაშო ხომ? რა სათამაშო ადგი-

ლი აქა ნახე, შე ხულიგანო? აი, ახლა მილიციამი წაგიყვან და ნახავ სეირს. — ამ სიტყვებით მემანქანემ ჯერ ყური აუწია გურამს, შემდეგ კი იდაყვზე წაავლო ხელი წასაყვანად. გურამს უნდოდა რაღაც ეთქვა, რაღაცით თავი ემართლებინა, პატიება ეთხოვა უცნობი ძიასთვის, მაგრამ შეშინდა, ყელში ბურთივით ვაეჩხირა რაღაც და სიტყვა ვერ დამრა.

ამ დროს მატარებლიდან ზუსტად ისევე ჩაცმული კაცი გამოვიდა, სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა ამხანაგს და უსაყვედურა: — რა მოხდა ასეთი, შე



კაი კაცო, ბავშვი არ ყოვილხარ? უნებურად მოუვიდოდა. ამისათვის უნდა დაახრჩო? თუ კაცი ხარ თავი დაანებე და შენს საქმეს მიხედე! — შენ კი აქ მომიცადე, ბიჭიკო, — ახლა გურამს მიმართა ამ კეთილმა ძიამ და მატარებელთან მიიყვანა. თვითონ მემანქანის კაბინა გააღო, შიგ შევიდა, ახლა მეორე მხარეზე გასასვლელი კარი გააღო და კიბეებს დაბლა ჩაუყვია. მერე ფრთხილად გააბიჯა ბურთის გვერდზე; გურამის თვითმფრინავი აიღო

და იმავე გზით ამობრუნდა. თვითმფრინავი რომ უვნებლად გადასცა, აბა, კარგად იყავი, ბიჭიკოო, უთხრა გურამს, მხარზე ხელი წაუთათუნა და ისევ მატარებლის კაბინაში შევიდა.

გახარებულმა გურამმა უხლოესი ვაგონის ღია კარში შეირბინა.

...მატარებელი ხვილ-ნივლით მიაპობდა გვირაბის წყვილადს, წინ ხანჯალივით შქონდა გაშვრილი ელექტროფარებიდან წამახული შუქის ნაკადი.

და, მუდამ იყოს მზე!



მეგობრები



მედიანი პალეზულები

მამა ცხვრების ფარას და
მეუღლე ფურებს გვირგვინს,
ათი ბატონის გამოხედა
არც შე გამოვირგვინა.
პატივად აუცხვს ზეზია,
ჩემი ძმა კი რვა ცოცხანი
გახრის დამახრებიანს!
თი, ჩვენი ოჯახის
ფორ მალეზებულა,
თვას და არ შეპარულა?
ჩვენთან არ შეგულება!



ალმასანადი დიდუბაშვილი

კაკლები

ორლობის გასწვრივ კაცლები
რომ შრიადებენ დამხაბე,
ზოგი ბაბუას დაურგავს,
ზოგი დაურგავს მამასა,
და მეც მოვალე ვებდავართ,
ნეტკი მეც უნდა ვახარო,
რომ თქვან—ჩა კარგი შვილი ხარ,
მამა-მამასა ვაგვარო!



მედიანი პალეზულები

ნ ა ნ ი ნ ა

ჩემო კარგო თოჯინა,
აგრემც გენაცვალები,
დაიძინე, დახუკე
ვბ ფირუხის თვალები.
ვერაფერი ვერ ტვებს
უძილობის სიმძიმეს,
ხომ უფურებ, თვით მზეც კი
თავის გროზე იძინებს.
ნუ მარწავლებ, რად გინდა
შეხვეწება ამდენი?



მედიანი პალეზულები

ქოლხეთი

აგრე იყო ჭაობი—
არც ბალი, არც საყვანე!
ახლა ბალი შრიადებს,
ჩაი მწვენენ ლანუნებს!
ბზა ბზას მისვებს, ვაზი—ვახს,
ჭადარს მისვებს ჭადარი.
ოქროს ბურერი მოუსხამს
ფორთოხაღს და მანდარინს.

მედიანი პალეზულები

ნოდარი და ხანჯალი

შეუძაგნს ნოდარიკოს
კობტა როსა-ბალუბი,
ჭამარ-მანჯილიც აბუტეს,
ბუნრის ქული, ფურად რუბი,
ჩააცვს და სიხარულით
აუღოდა მკაცრი, მუხლი,
ნანჯელით ჭეშვებს მივკრა და
აუღუნა ჩაბარული,
შემდგნ ეზოში ვაგარდა,
დააფეთა კატა, კრუში...
ხანჯლის ქველით შორიბინა
ყანა, ბალი, იაღალი...
დააქავეს საღამოს და
ჩამორღვს იაიალი.



ბიჭისა და კორაგუდა გოლიათის ამბავი

ერთხელ ჩემი მეგობარი შემხვდა: — ერთ ამბავს გიამბობ, გინდა დაიჯერე, გინდა არაო:

იყო ერთი ბიჭი. არდადეგებზე მშობლებმა სოფელში წაიყვანეს. სოფელი უღრანი ტყის პირას იყო გაშენებული და ბიჭიც მთელ დღეებს ტყეში ატარებდა. ერთხელაც გზა დაეზნა და დაიკარგა. ბევრი ხუტიალის მერე ღონემიხდილი და შამინებულნი ერთ ძალიან ლამაზ მდელოზე აღმოჩნდა. უცებ მიწა შეიძრა და ბიჭი რბილად დაეგორდა ფერდობზე. როცა შიშინებულმა წამოხტა და ზემოთ აიხედა, დაინახა, როგორ წამოიძვართა გოლიათი და უხარმახარი თავლები დაახამამა. ბიჭი შიშინებულად ადგილზე გაეყვავდა, მაგრამ ამ დროს გოლიათმა ტაში შემოჰკრა და დაეწვივით: გაბნეულმა ცალ ფეხზე ხტუნვა დაიწყო, ნიჭი დამეჭიდდა, მიწვდა, გოლიათი სულაც არ არის ბოროტი და საშინელი, და არაფერს შეინისო. ადგა და თვითონაც ასკინილა ჩამოუარა, გოლიათი სულ გადაირია სიხარულისაგან და ახლა თვალეებზე მიფარა ხელი, ეითომ — აბა, დაბნეულყო. ბიჭი დაიმალა, მაგრამ გოლიათმა მამშინე იპოვნა; მერე თვითონ დაიმა-

ლა, დაიმალა კი არა, სულ გაქრა. ბიჭმა ბევრი ეძება, მაგრამ ვერსად იპოვნა, სანამ თვითონ არ გამოუჩნდა გოლიათი.

ასე დამეგობრდნენ. ბიჭს ერთხელაც არ გახსენებია თავისი სოფელი, გოლიათს კი — შორს, უღრან ტყეში მცხოვრები თავისიანი გოლიათები. ჩვენი გოლიათი მეტად ცნობისმოყვარე იყო, ადრეც ხშირად ჩამოიპარებოდა ხოლმე სოფლის განაპირა ტყემდე, ძალიან აინტერესებდა, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები.

განსაკუთრებით ბავშვები უყვარდა. გადაიტყუოდა ხან ხედ, ხან ქვის დიდ ლოდად, ხანაც აფერადებულ მინდვრად, და ტკბებოდა მათი ცქერით. თვალხუჭობანა და ასკინიკილაც მათ მალულ თვალთვალში ესწავლა. ხშირად ებუტბუტებოდა თავის თავს: ასეთი აყლყულა რომ არ ვიყო, ხომ გამოვუჩნდებოდი ბავშვებსო. ახლა კი, გულადი მეგობარი რომ იპოვნა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ბიჭსაც ძალიან შეუყვარდა თავისი გონასავით დიდი გოლიათი. სახელიც კი შეარქვა: გორ ა გ უ და.

თამაშობდნენ და თამაშობდნენ ბიჭი და



ნასატავი ავტორისა

გორაგუდა. განსაკუთრებით თვალხუჭობა-
ნა მოსწონდათ, სადაც არ უნდა დამალულიყო
ეს ერთი ციციქნა ბიჭი, გორაგუდა ყო-
ველთვის პოულობდა მას. ბიჭი კი ამ უზარ-
მაზარ გოლიათს სად არ ეძებდა, გადაჩხრეკი-
და არემარეს, ფულუროებშიც კი შეუჩხიკი-
ნებდა ჯოხს, იქიდან კი ისეთი — ცხინკი, —
გაისმოდა, ჭექა-ქუხილი გეგონებოდა; და
ბიჭიც ბზრიალ-ბზრიალით გორდებოდა მდე-
ლოზე. თურმე ნუ იტყვი, გოლიათის ცხვი-
რის ნესტი იყო, ხის ფულუროდ გადაქცეუ-
ლი, და დააცხიკებდა, აბა რას იზამდა.

ასე ეშმაკობდა გორაგუდა. ბიჭი ხან
ეკალ-ბარდებად ქცეულ მის თმებში გაე-
ჩხირებოდა, ხანაც იმის მუცელზე ისე დარ-
ბოდა, როგორც მინდორზე, და როცა მინ-
დორი რწევას იწყებდა, მაშინდა ხვდებოდა,
რომ ეს გოლიათის მუცელი თახთახებდა
ხითხითისაგან. ბიჭმა ბევრი სხვა თამაშო-
ბაც ასწავლა გოლიათს. სანაცვლოდ ისიც
ნელ-ნელა აცნობდა ბიჭს ბუნების საიდუმ-
ლოებებს. განსაკუთრებით მიწისქვეშა გა-
მოქვაბულები მოსწონდათ. უამრავი რამ
იცოდა გორაგუდამ, დასვამდა ბიჭს რომე-
ლიმე თბილ მიწისქვეშა გამოქვაბულში და
ასწავლიდა გამოქვაბულების ენას და დუ-
მილის საიდუმლოებას. ბიჭს უკვე ესმოდა
ყველაფერი, რასაც გამოქვაბულები ეუბნე-
ბოდნენ, მაგრამ რასაც ეუბნებოდნენ, იმის
თქმა არ შეიძლებოდა, რადგან ეს მხოლოდ
დუმილის საიდუმლო იყო.

ასე გადიოდა დრო.
ერთ დღეს ბიჭმა შეამჩნია, რომ გორა-
გუდას სევდა შეეპარა. დღითიდღე ემატე-
ბოდა ნალექი. ბოლოს გაუმხილა ბიჭს
გოლიათების ხანმოკლე სიცოცხლის საი-
დუმლო. ჩვენს კეთილ გორაგუდას თითზე
ჩამოსათვლილი დღეებილა დარჩენოდა თურ-
მე. ბიჭი ვერ შეჰკუთებოდა აზრს, გოლიათი
უნდა მოკვდესო, გორაგუდას კი სიკვდილი
ისე არ ადარდებდა, როგორც მეგობრის და-
შორება.

დადგა ის დღეც, ასე რომ ეშინოდათ
ორივეს.

დღითი გორაგუდამ ბიჭი ტყის ერთ უც-
ნობ ადგილზე მიიყვანა. აქ თურმე გოლია-
თები კვდებოდნენ.

შუადღემ რომ მოატანა, ბიჭი მაგრად
ჩაეკრა გორაგუდას და მწარედ ატიროდა. გო-
რაგუდამ ერთხანს ითმინა, ტირილი რა ჩე-
მი საკადრისით, მაგრამ ბოლოს ვეღარ
მოითმინა და ისეთი ზღუტუნნი ამოუშვა,
რომ ტყე ერთიანად აცხცახდა. მზე შუბის-
წვერზე დადგა, მეტი დაყოვნება აღარ შეი-
ძლებოდა. გოლიათმა შუბლზე აკოცა ბიჭს
და ერთ პატარა ლამაზ გორაკთან დანვა.



ნელნელა ხასხასა მწვანე ხაცსმა დაფარა
გორაგუდას ფეხები, მერე შრიალა ბუჩქები
გაჩნდა, მერე ტყეები, ბორცვები, გორები
და გორაკები, სრამები და მწვერვალები
ღრმა უფსკრულებით; აქა-იქ ტბები და მდო-
ნარეებიც აბზინდა.

გორაგუდა კი გაქრა.
დიდხანს ტიროდა ბიჭი, მზე ჩასასვლენ-
ლად გადაიხარა. ბიჭი სოფელში უნდა და-
ბრუნებულიყო — გაზა ხომ გორაგუდამ ას-
წავლა. ერთი კიდევ მოაგლო თვალი იქა-უ-
რობას და გარცეხულმა ახლავა შენიშნა:
მთელი ბუნება თავის ბორცვებით, გორაკე-
ბით, მინდორებით, ტყეებითა და კლდეებით
მიძინებული გოლიათების ამობურცულ-
დაბურცული სხეულები ყოფილიყო და სხვა
არაფერი.

სოფელში შედამებისას დაბრუნდა. დე-
დას ვერც კი შეემჩნია მისი დილიდან გაუ-
ჩინარება. თვითონ ის კი ისე იყო დაღლილი
და დადარდიანებული, რომ საჩქაროდ ლო-
გინში შექვარა და დრმა ძილს მისცა თავი,
რომ გაიხარადა, ერთ მეგობარს გაანდო ეს
ამბავი. ის კი მე მომიყვავ: გინდა დაიჯერე,
გინდა არაო.

ირაკლი შარჰიანი

„დიღის“

საგამოფანო

ღარგაზი




ზღვა.
შტაფან შიკანი.
ძ. ნანტი. საფრანგეთი.

გოგონა და ყვავილები.
იკონელი გოგონას ნახატი.



ტყე.
ინდრა ლიპაინია.
ლიტვა.

ქაიფი.
ირაკლი რუხიაშვილი.



კეკელია.

ირინა სვრიცა დ. ლვოვი. ●



● კალატოპური.
წაურის დოუმონი. ლატვია.

14. 965

● დსკოპი.
შანა ჯამბოვი.
შაზახეთი.



კ. შირქსის სხ. სკ. სსრ
სხელ სკოლა ოცსტედიკ.
ბიზლინისკა № 1

ადგილთა პინაოკა

ბევრი ადგილის სახელია დაკავშირებული ვაშლითან. მაგალითად, ვაშლოვანი ჰქვია ოთხ სოფელს (თეთრინყაროს, ლენინგორის, ვაგარისა და ხულოს რაიონებში), ვაშლიანი — სოფელს საგარეჯოს რაიონში, ვაშლობი — დუშეთის რაიონში, ვაშლევი — ორჯონიკიძის რაიონში.

მსხალს უკავშირდება შემდეგი სოფლების სახელები: მსხლები (ლენინგორისა და ჯავის რაიონებში), მსხალდიდი (მცხეთის რაიონი), სხანარი, რომელიც მიღებულია ბერის დაკარგვით სხალნარი-საგან (სხანარი ჰქვია სოფელს რაჭაში, ონის რაიონში), სხლითი (ორჯონიკიძისა და ზნაურის რაიონებში), სხლოვანი (თიანეთის რაიონი), სხალტბა (მცხეთის რაიონი).

რამდენიმე სოფლის სახელს საფუძვლად უდევს ბლის მეგრული ფორმა ბული. ასეთებია: ბულივანი („ბლიანი“) — აბაშის რაიონში, ბულიში („ბლისა“) და ბულიწყუ („ბლის წყარო“) — ხობის რაიონში, ბულიშხინჯი („ბლის ხიდი“) — გალის რაიონში. ნობულივი („ნაბალები“) — გეგეჭკორის რაიონში.

ზოგი სოფლის სახელი ტყემაღს უკავშირდება: ტყემაღა (ქარელის რაიონი), ტყემლოვანა ქარელის და ჭიათურის რაიონებში, ტყემლანა (ახალციხის რაიონი), ტყელვანი (ვანის რაიონი). ეს უკანასკნელი ტყემლოვანისაგან არის მიღებული ბგერათა დაკარგვის შედეგად.

ვაგაცნობთ კიდევ რამდენიმე გეოგრა-

ფიულ სახელს, რომელთა ფუძედაც მცენარის სახელია გამოყენებული.

აჭანდარი ჰქვია ორ სოფელს აფხაზეთში — გუდაუთისა და გულრიფშის რაიონებში. ერთ-ერთ მათგანში დღემდე დგას უზარმაზარი ჭადარი, რომელზეც ამბობენ, ათასი წლის იქნება. ალბათ ამ ხეს უკავშირდება სოფლის — სახელი აჭანდარი.

გრაკალი სოფელი და რკინიგზის სადგურია ქართლში. გრაკალი ანუ გრაკლა დაბალი ფოთლოვანი მცენარეა.

თერჯოლა რაიონული ცენტრია, მდებარეობს ზემო იმერეთში. სახელოვანია მიღებულია თეთრ ყოლა-საგან, და ნიშნავს თეთრ ბულოს, ანუ თუთას.



ლაბსყალდი ძველი კულტურის ძეგლებით განთქმული პატარა სოფელია ზემო სვანეთში. ამ სახელის ფუძეა სვანური სიტყვა ბასყ — „მარწყვი“. ლაბსყალდი „სამარწყვეს“ ნიშნავს.

ლიხი. სურამის უღელტეხილი ანუ მეორენიარად ლიხის უღელტეხილი ლიხის მთაზე გადის. ეს სახელი ჰქვია პატარა სარკინიგზო სადგურსაც. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ლიხი ახსნილია როგორც მაღალი და მსხვილი ბალახი, შამბი. სწორედ ასეთი შამბარის მიხედვით უნდა დარქმეოდა სახელი ხსენებულ ადგილს. იმავე სიტყვისაგან არის მიღებული რაჭის ერთი სოფლის სახელიც — ლიხეთი.

ზურაბ ჭუმბურიძე



645 / 132

იკოვნა ერთნაირი მარკის მანქანები



1



6




2



7



3




8



4



9



5



10

